

შეკვეთა

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №2018-52
(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. თბილისი

21 მაისი 2018 წ.

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნიკა ახალბედაშვილის სახით და შპს „აი-ეს-ეი სერვისი“, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის მზია გველესიანის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.7. „საქონელი/მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს სათაო ოფისში ქ. თბილისი ფანჯიკიძის N2-ში აეროზოლური ქრობის სისტემის შესყიდვა (დანართი N1-ს შესაბამისად) რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებას თანდართულ სისტემის აღწერას (დანართი N2)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4600 (ოთხი ათას ექვსასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების საგნის მონტაჟისა და პირველადი ინსტრუქტაჟის ღირებულებას. CPV 35100000

4. საქონლის/მომსახურების შესაბამისობა

4.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი შესყიდვებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მოწოდება არაუგვიანეს 2018 წლის 21 ივნისისა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N2.

განახორციელოს აღნიშნული სისტემის მონტაჟი

უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირისთვის მოკლე ტრენინგ მომსახურება, რომელიც მოიცავს სისტემის გამართული და უსაფრთხო მუშაობისათვის საჭირო ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს დაცვის უფროსი - ზორიკ ჩეხოვეი . რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში -----

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2018 წლების საკუთარი სახსრები.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გაიცეს ავანსი არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 50%-სა.

8.4. ავანსი გაიცემა მიმწოდებლის მიერ წერილობითი მოთხოვნისა და შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 დღეში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.7%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას კუთვნილი პირგასამტეხლოს ოდენობით შეამციროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

10.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის
ნიკა ახალბედაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3,
ტელეფონი: 2 94 16 45,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707407076,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE 22,
სკ - 203862622



მიმწოდებელი:

შპს აი-ეს-ეი სერვისი +
წარმოდგენილი დირექტორის
მზია გველესიანის სახით
მის: ქ. თბილისის, საბურთალოს ქ. N35
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა: GE75TB7996636020100004
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
სკ - 211384839



დანართი N1



მოდელი	დასახელება	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
PKP100A	საკონტროლო პანელი, ნაკრ._Alarm Panel Kit with Battrery 7A/H and 4 Reley Module	1	750.00	750.00
MKII-OP	კვამლის დეტექტორი 80-200 Fyreye MKII Conventional Fyreye Optical Smoke Detector	1	48.00	48.00
MKII-HF	ტემპერატურული დეტექტორი 80-204 Fyreye MKII Conventional Fyreye Fixed Heat Detector	1	42.00	42.00
MKII-CB	სახანძრო დეტექტორის ბაზა 80-220 Fyreye MKII Common Base	2	7.00	14.00
FirePro	მიკრო პანელი, Micropanel_ FPC2 with PSU	1	450.00	450.00
FirePro	წრფივი ტემპერატურული სახანძრო კაბელი Linear Heat Sensor cable TH82N	10	15.00	150.00
FirePro	ქრობის გენერატორი_ Ext. Generator FP-1200	1	1,684.00	1,684.00
FirePro	ქრობის შემაჩერებელი ღილაკი_ Ext. Abort Button RP-BS-11	1	122.00	122.00
FirePro	ქრობის ხელით აქტივაციის ღილაკი_ Ext. Manual activation button RPYS11CL	1	119.50	119.50
Roshni	სახანძრო სირენა - FireSiren 2 tone RoLP	1	91.00	91.00
	სახანძრო კაბელი - Fire Cable - urosafe scr 2X1 red	80	2.80	224.00
	დენის კაბელი_ Power cable AC 2X2.5	15	3.70	55.50
	სახარჯი მასალა	1	120.00	120.00

Acumulator And Ups Room
საკუმულატორი და იუპის ოთახი

Total Materials/სულ მასალები	3,870.00
Installation/ინსტალაცია	550.00
Start -Up and Training/ სტარტაპი/ტრეინინგ	180.00
Total Projec GEL / სულ ჯამი ლარი	4,600.00

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის
ნიკა ახალბედაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3,
ტელეფონი: 2 94 16 45,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707407076,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE 22,
სკ - 20386222

მიმწოდებელი:

შპს აი-ეს-ეი სერვისი +
წარმოდგენილი დირექტორის
მზია ვველესიანის სახით
მის: ქ. თბილისის, საბურთალოს ქ. N35
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა: GE75TB7996636020100004
თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
სკ - 211384839

სისტემის აღწერა

1. ხანძარის ქრობის პრინციპი

1.1 ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოქმედება ეფუძნება ქრობის კონცენტრირებული აეროზოლის გენერატორების გამოყენების პრინციპს.

2.1.1 ქრობის კონცენტრირებული აეროზოლის გენერატორი წარმოადგენს ხანძრის ქრობის მოწყობილობას. იგი შეიცავს მყარ ნივთიერებას, რომელიც გენერატორის აქტივაციის შემთხვევაში, გარდაიქმნება პოტასუმის/კალიუმის ნაერთზე დაფუძნებულ, სწრაფად გავრცელებად აეროზოლად.

2.1.2 ქრობის პროცესი ხორციელდება ფიზიკური და ქიმიური ჯაჭვური რეაქციების შედეგად და არ იწვევს გარემოში ჟანგბადის შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

1.2 აეროზოლის ძირითად აქტიურ ელემენტს - პოტასუმს, როგორც ტუტე მეტალს, მისი ფიზიკო-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, იონიზაციისათვის სჭირდება მინიმალური ოდენობის ენერგია. ამ ენერგიას იგი ღებულობს ცეცხლის ენერგიის შთანთქმით, რის შედეგადაც კალიუმი გარდაიქმნება K^+ დადებითი მუხტის მატარებელ რადიკალად, რომელიც შემდგომ მონაწილეობს ცეცხლის ქრობის პროცესში.

1.3 წვისას, ალში წარმოიშობა რეაქცია ატომებსა და არასტაბილურ მოლეკულურ კომპონენტებს (რადიკალებს) შორის, რაც უზრუნველყოფს წვის ჯაჭვური რეაქციის განვითარებას. ცეცხლზე აეროზოლის გაფრქვევისას, კალიუმის რადიკალები (K^+), ურთიერთქმედებენ უარყოფითად დამუხტულ თავისუფალ რადიკალებთან (ძირითადად, ჰიდროქსილის არასტაბილურ რადიკალებთან, OH) და ქმნიან მყარ/სტაბილურ ნაერთს. შედეგად, ჯაჭვური რეაქცია წყდება და ხანძარი ქრება.

2. აეროზოლის შემადგენელი კომპონენტები

2.1 აეროზოლში შემავალი მყარი კომპონენტი არის:

2.1.1 არა-ტოქსიკური და არა-კოროზიული.

2.1.2 არ იშლებოდეს/წარმოქმნიდეს მჟავა ნივთიერებებს (როგორცაა წყალბადის ფტორი, წყალბადის ბრომიდი, წყალბადის ქლორიდი ან/და სხვა ანალოგიური).

2.1.3 საშიშ ნივთიერებათა კლასიფიკაციის მიხედვით, კლასიფიცირებულ იქნას როგორც პუნქტ 9.1 -ს შესაბამისი (სხვა მყარი ნივთიერებები).

2.1.4 არც აეროზოლის მყარი კომპონენტი და არც გამაგრებული მასალა, არ შეიცავს პიროტექნიკურ ნივთიერებებს (მაგალითად, ნიტრო გუაინიდინს, ნიტროცელულოზას ან

ციანო-გუანიდინს (დიციანდიამიდი)), შესაბამისად არ უნდა არსებობს მისი აფეთქების არანაირი რისკი. აღნიშნული დეკლარირებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ მასალების უსაფრთხოების დამადასტურებელ საბუთში (MSDS).

2.1.5 აეროზოლი არ შეიცავს რაიმე სახით კოროზიულ ქიმიკატებს (ქლორიდებს ან პერო-ქლორიდებს), რომლებიც აზიანებენ ელექტრონულ მოწყობილობებს და სხვა პრეცეზიულ აპარატურას და მასალებს. აღნიშნული დეკლარირებულია მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ მასალების უსაფრთხოების დამადასტურებელ საბუთში (MSDS).

2.1.6 აეროზოლი არ შეიცავს რაიმე სახით ციანიდს, ამიაკს ან აზოტის ოქსიდს. აღნიშნული დეკლარირებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ მასალების უსაფრთხოების დამადასტურებელ საბუთში (MSDS).

2.1.7 პოლიმერული ფისი (გენერატორში არსებული, აეროზოლის წარმომქმნელი მყარი ნაერთის შემაკავშირებელი მასალა) არ შეიცავს კანცეროგენულ ქიმიკატებს (მაგალითად, ფორმალდეჰიდს, ფენოლის პოლიმერებს და სხვა მსგავსს). აღნიშნული დეკლარირებული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ მასალების უსაფრთხოების დამადასტურებელ საბუთში (MSDS).

2.1.8 აქვს 15 წლიანი სერტიფიცირებული ვარგისიანობის ვადა.

2.1.9 არ ფიტავდს ჟანგბადს.

2.1.10 აეროზოლის წარმომქმნელი მყარი ნაერთის თვითაალების ტემპერატურა არის $> 250\text{ }^{\circ}\text{C}$ (პიროტექნიკურ ნივთიერება შემცველი მასალების თვითაალების ტემპერატურა ძირითადად არის $< 250\text{ }^{\circ}\text{C}$).

2.1.11 ტესტირებული, შემდეგი ხანძრის კლასების ეფექტურ ქრობაზე: A, B, C და F (EN სტანდარტის შესაბამისად) ან A, B და C (NFPA-ის მიხედვით)

3. კონცენტრირებული აეროზოლის გენერატორი

3.1 აეროზოლის გენერატორის ძირითადი კომპონენტები:

- ა) აეროზოლის წარმომქმნელი მყარი ნაერთი;
- ბ) ელექტრო აქტივატორი;
- გ) გამაგრებელი ნივთიერება;

ამასთან ერთად, კონცენტრირებული აეროზოლის გენერატორი აკმაყოფილებს შემდეგ მინიმალურ კრიტერიუმებს:

3.1.1 აქვს მინიმუმ ერთი განმუხტვის პორტი/საქშენი;

3.1.2 არ უნდა იმყოფებოდეს წნევის ქვეშ;

3.1.3 აქვს ორმაგი აქტივაციის მეთოდი (თერმული და ელექტრონული) და გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს ორივე აქტივაციის მეთოდის ერთდროულად გამოყენებისას.

3.1.5 არის "UL Listed" და/ან "EN Listed".

- 3.2 გენერატორის გარე კორპუსი დამზადებულია მაღალი ხარისხის ფოლადისგან.
- 3.3 ელექტრონული აქტივატორი (ძირითადად, უჟანგავი ფოლადისგან) საიმედოდაა ჩამაგრებული გენერატორის კორპუსში, ისე, რომ შეუძლებელია მისი გარედან დემონტაჟი.
- 3.4 აეროზოლის გამოფრქვევის ჯამ. დრო 60 წამამდე
- | | |
|----------------------------|-------------------|
| გენერატორის განმუხტვის დრო | 20 - 25 წამი |
| სამუშაო ძაბვა | 1.5 - 36 V DC |
| დენის ძალა | 0.5 - 2.0 A, |
| ელ. იმპულსის ხანგრძლიობა | 2 - 5 წამი |
| დენის ძალა ტესტირებისას | max. 5 mA |
| აქტივაციის დრო | დაუყოვნებლივ |
| აეროზოლური მაქს. ნაკადი | 8 მ - დე |
| გამოყენების ტემპერატურა | -50 °C / + 150 °C |
| დასშვები ტენიანობა | 98% - მდე |

4. სისტემის დიზაინი

- 4.1 სისტემის მოქმედება ხანძარქრობის პროცესში, უნდა ხორციელდებოდეს სრული დატვირთვის მეთოდით (TFS), რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, როგორებიცაა NFPA 2010, ISO15779 ან CEN15276. (გამოფრქვევის შემდეგ აეროზოლმა უნდა შეინარჩუნოს ქრობის კონცენტრაცია, მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ხელახალი აალების ნებისმიერი შესაძლებლობა.)
- 4.2 აეროზოლის რაოდენობის გაანგარიშება ეფუძნება არსებული ქრობის კონცენტრაციის პარამეტრს (E.A.D.), რომელიც დადგენილია და დამოწმებულია აკრედიტებული სატესტო ლაბორატორიების მიერ (საერთაშორისო ტესტირების პროტოკოლების მიხედვით, ჩატარებული ხანძარქრობის ტესტების საფუძველზე) და რომელიც შეესაბამება მოსალოდნელი ხანძრის კლასის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში A კლასის საფრთხეს).
- 4.3. E.A.D გამოისახება როგორც მყარ ფორმაში არსებული აეროზოლური მასა (გ) შეფარდებული მოცულობის ერთეულთან (m^3) – g/m^3 .
- 4.4 სისტემის დიზაინში გამოყენებული აეროზოლის ფორმირების მყარი ნაერთის ნომინალური მასა, დათვალისა შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$M = EAD \times f \times S.F \times V$$

- სადაც EAD: ქრობის კონცენტრაციის პარამეტრი;
f: დამატებითი უსაპრობოების ფაქტორი;
S.F: 30% დამატებითი, სტანდარტული უსაფრთხოების ფაქტორი;
V: დასაცავი სივრცის მოცულობა;



შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის
ნიკა ახალბედაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3,
ტელეფონი: 2 94 16 45,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707407076,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE 22,
სკ - 203862622



მიმწოდებელი:

შპს აი-ეს-ეი სერვისი +
წარმოდგენილი დირექტორის
მზია გველესიანის სახით
მის: ქ. თბილისის, საბურთალოს ქ. N35
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა: GE75TB7996636020100004
თბილისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22
სკ - 211384839

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ


ქ. თბილისი

21 მაისი 2018 წელი

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარე, საფინანსო სამსახურის უფროსი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან - შპს „აი-ეს-ეი სერვისი“-სთან (ს/კ 211384839)


ნიკა ახალბედაშვილი

თავმჯდომარე



ანა თოლორაია

ფინანსური მენეჯერი



ზორიკ ჩეხოვეცი

ინსექტირების განმახორციელებელი პირი

